ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო ფურცელი

სურათებიანი დამატება

გაზეთის № 19

დამატების № 4

ქვირა, 22 ივნისი 1914 წ.

სრ. საქარ. სასც. მოღვ. პირველი ყრილობის პრეზიდიუმი. შუაში ზის ყრილობის საპატიო თავმჯდომარე აკაკი. მის მარჯვნივ თავმჯდომარე გ. ლასხიშვილი, თავმჯ. ამხანაგები მარჯვნივ: კ. აბაშიძე და ა. კრინიკი; მარცხნივ: ვ. ალექსი-მესხიშვილი და ი. ბარათაშვილი, მდივნები მარჯვნივ: ი. რომანიშვილი და კ. ანდრონიკაშვილი; მარცხნივ: შ. დადიანი, ჭანტურიშვილი, ი. იმედაშვილი და პ. ირეთელი.

ჟამი ბრძოლისა

უკაცურს სახლში ვართ ეხლა, შვილო,
მხოლოდ ობობა ძაფს ატრიალებს.
როგორც წინაპართ, ისე ჩვენაცა
ჟამი ბრძოლისა გაგვატიალებს?..
უკაცურს სახლში ვართ ეხლა, შვილო,
არც აბეჩხარი ჩვენი სამკვიდრო;
განისვენებენ პაპა, ბაბუა,—
თან წარიტანეს თვისი ავი დრო.
ჩვენც თანა გვახლავს დრო ჩვენთვის ავი,—
მამაშენს მტერი ეძებს—იპოვის,
ტყვე გაწირული სასჯელისათვის
დიგვიბრუნეო, ვის მოვთხოვოთ, ვის?!
არავის! ბევრი მაგალითი გვაქვს,
სათხოვრად რჩება კვლავ სათხოვარი;
აღარ დაინდონ შესამუსრავად,
თუ წარიტაცეს მგელთა ცხოვარი.
არ ვიცი, შვილო ტკბილი ზღაპრები,
ვიცი ცხოვრების მოთხრობა მწარე;
სჯობდა არ მეთქვა!.. როგორ არ, გეტყვი!
ხვალ სხვას გაიგებ, დღეს ეს იკმარე.
უკაცურს სახლში ვართ ეხლა, შვილო,
მხოლოდ ობობა ქსელს ატრიალებს;
როგორც წინაპართ ისე ჩვენაცა
ჟამი ბრძოლისა გაგვატიალებს?

ბაბილინა

საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ. ბ ბიბლიოთეკა

ვუძღვნი კ. მაყაშვილს

რათ მსაყვედურობ, მეგობარო, რათ არას სწერო,
რათ ჩამჩიჩინებ სულ ჩემს ნიჭზედ ასე გულღიათ'
შენც ხომ კარგად გრძნობ, რომ გზა ჩემი საბედისწერო
იქით არ მიდის, სითკენ რჩეულთ გუნდებს უვლიათ.
შრომის გზაზე ვარ, ულმობელი შრომის ბილიკზე,
იგი ეკლებით და ქვა-კაჟით მოფენილია;
ცხოვრების ტვირთი უძლეველი მაწევს მე ქედზე,
და სული ჩემი მის სიმძიმით დატვირთულია.
შავი მიწის მკერდს დავნდობივარ, ვბარავ და ვბარავ,
ვთოხნი და ვბარავ, და იქ ვეძებ დღიურ ლუკმასა,
ჩემს სულს და სხეულს უკანასკნელ ძალასა ვპარავ
და იქა ვმარხავ,—იქვე ვმარხავ ჩემს გულის-თქმასა.
ოფლი მკერდიდან ჩამომშხუის, ვით ნაკადული,
მის მდუღარება თვალებსა მწვავს და ხორცს მიხარშავს,
ბარს დავეყრდობი დაქანცული და კვნესის გული,
ჰკვნესის როცა ვგრძნობ, რომ ძალ-ღონე სულ დამიხარჯავს.
ვბარავ და ვბარავ, ვხნავ და ვთოხნი, ვთოხნი და ვბარავ.
შავ-სამოსელის ღილებს ვუსხნი დედა-მიწასა.
მის ფართო გულ-მკერდს მძიმე შრომით ვკვალავ და ვღარავ,
ვბარავ და ვბარავ, შიგ სისხლს ვათხევ, ვთოხნი და ვბარავ,
რისთვის ვუწოდებთ მიწას დედად, დედა-მიწადა,
ნუ თუ დედა შვილს ყურს ტანჯვის დროს არც კი ათხოვებს!
ვეალერსები, ზედ ვედები გულ-მკერდზე მტლადა,
მაგრამ ჩემთვის შურს ხშირად ძუძუ და მშიერს მტოვებს. —

ვბარავ და ვბარავ, ვხნავ და ვთოხნი, ვთოხნი და ვბარავ.
რით უნდა შერჩეს სულს სიფხიზლე, გონებას ფრთები,
ე ჩემს გონებას უკანასკნელ ღონესა ვპარავ,
უწყალო ტვირთ ქვეშ ვიღუნები და ნელ-ნელ ვქრები.
ხელის გულთაგან სისხლი მომჩქეფს წამს მწარ შრომისას,
თითებზე კანი ჩამჟანგვია, ჩამტლანქებია,
ამ გვარი ხელი რომ შეეხოს ჩანგს ეოლისას,
ბოეზიისთვის, აბა მითხარ, რა საქებია!
ან სად მაქვს მოცლა, რომ ვიაზრო, მივეცე ფიქრებს,
ნიავს, ფოთლებში მოჩურჩულეს, წინ შევეყარო,
მზის სხივს შევსძახო, ნუ ღებავ-თქო ჰაერის ზვირთებს,
ზღვას ყური ვუგდო, დავუკვირდე რას ამბობს წყარო?!.
ძათთან მუსაიფს ნაჩვევია მგოსანი ლაღი,
ვინც რომ მსოფლიოს ყალბად უთხზავს წარმტაც არაკებს,
ვისც არ უგრძვნია მწარე ტანჯვა და შრომის დაღი.—
ძას რაც გულში აქვს, ზღვასაც ისე ალაპარაკებს.
სტუუის მგოსანი! სიყალბეა ქადაგი მისი:
სულაც არ ამბობს ზღვა ტკბილ ზღაპრებს, სიო სიმღერას,
ია არ მორცხვობს, არ იცინის არც სხივი მზისი,
ანგელოსთ გუნდი არ სდარაჯობს ჩვენს ბედისწერას.
სულ სიცრუეა... ვის რა უდგას გულს—მაზე რეკავს:
ბედნიერს უჩანს ბედნიერად კაცთა კრებული,
ძთვრალსა ჭგონია, რომ მსოფლიოც მისებრივ ცეკვავს,
და შეყვარებულს—ყველა სული შეყვარებული.
ეს სიყალბეა... სინამდვილეს სხვა აქვს სასინჯი:
ის იმყოფება მწარს შრომაში, განსჯა-ტანჯვაში,
მის საზომია დაკვირვება, გონება დინჯი,
ის თვით ტანჯვაა ულმობელი, ტანჯვაა მაში.
ტანჯვა სიბრძნეა, იგი არის ცოდნა ცხოვრების,
ვინც არ ტანჯულა, იგი ზღაპარს სინამდვილედ სცნობს,
ბედნიერებით გულ-დამთვრალი ჩქარობს, არ სცხრების
და მასვე ჰბოდავს ხალხთ სასმენლად, რასაც თვითვე გრძნობს.
მე კი... მე კი სულ სხვას მომითხრობს ბუნების ძალნი,
ძძიმე შრომაში და ტანჯვაში ვპოვე სისწორე:
ზღვა სულ სხვას ამბობს, სხვას მომითხრობს სხივნი მგძნებარნი,
სხვა გვარად ჰკვნესის ყვავილთ გუნდი სხივთ მოამბორე.
და ამ ცხოვრების სინამდვილემ ჩემი ენის ხმა
გადააკეთა, შეჰქმნა მძიმე, გრდემლზე ნაჭედი,
რომლითაც მხოლოდ შეიძლება ტანჯვის გამოთქმა,
წყევა ცხოვრების, შხამის თხევა იმედთ წამწყმედი.
ცხოვრების სიბრძნის გამზომლისთვის გონების ადლით—
ჩემთვის რაა ზღვა, ან რას დავსდევ რას ამბობს სიო!
ხალხმა ამივსო მე გულ-მკერდი შხამით და ნაღვლით
და იგი შხამი მასვე თავზე უნდა ვათხიო:..
ეჰ, ისევ წასდექ, ჩემო თავო, შრომის ბინაზე,
აბრუნე მიწა, შავი მიწა, ჰბარე და ჰბარე,
საუკეთესო განძრახვანი, სულის სინაზე
მის შავ ბელტებ ქვეშ სამუდამოდ მარხე და ჰყარე.

ნუ მსაყვედურობ, მეგობარო, რომ არა ვმღერი,
ჩემი სიმღერა ყველას შხამად მოეფინება;
შრომამ გამტეხა. არვინ მომცა მე ძმურად ხელი,
სიმღერის ნაცვლად გულში მიდგას წყევა-გინება.

ცახელი

ᲥᲐᲠᲘᲨᲮᲐᲚᲘ

II *)

— ბიჭო, სოლო! მუშაობას როდის-ღა დაიწყებთ?!—გასძახა ერთ დილას დიმიტრიმ თავის ნამოჯამაგირეს, რომელიც ღობის ძირას მიდიოდა. გასძახა ესა და მაშინვე გულმა უკბინა: ეს ხომ თითის მოკაკვაა, ეს ხომ დამარცხების ნიშანია, შიშის გამხილებაა! რად ვაჩვენე, რად გავუმხილეო!—უსაყვედურა დიმიტრიმ თავის თავს. იცოდა, ამის შემდეგ „ისინი“ უფრო გათამამდებოდნენ.

სოლო ნელა მობრუნდა და ღობეს მოადგა:

— არც როდის კნიაზო, არც როდის! ეხლა თქვენ იმუშავეთ! განა არ გეყოთ? გიხდებათ კიდეც, მე და ჩემმა ღმერთმა!—უპასუხა მან და არც ქუდი მოუხადა, არც სალამი მიჰსცა. დიმიტრის ეს ეწყინა, გულში მოჰხვდა. თითონ ძველებურად დაელაპარაკა, გულთბილად და სოლომ კი უზრდელობა იხმარა. ეს ნამეტური იყო. დაღალული, დატანჯული სული აიმღვრა, აღელდა და დიმიტრის საშინელი ტკივილები აგრძნობინა. იგი მზად იყო სოლოსათვის სილა ეტკიცნა, შეურაცყოფილ თავ-მოყვარეობის დასამშვიდებლად, მაგრამ თავი შეიმაგრა.

— ბიჭო და რატომ! მუქთად ხომ არ მემსახურებოდი შვილო! წელიწადში თხუთმეტ მანეთს და ორ წყვილ ქალამანს გაძლევდი! გეცოტავებოდა?

— არა, კნიაზო! ფულის საქმე არ არის. ისე, აღარ გვინდა მუშაობა! ყველა თავის-თავის მოჯამაგირეა.—სოლოს უნდოდა ეთქვა, მე შენი ბიჭი აღარა ვარ, შენი ამხანაგი ვარო, მაგრამ ამის მაგივრად სხვა უთხრა:

— აბაიმე, კნიაზო (სოლო ამ სიტყვის თქმის დროს იღიმებოდა)! კიდევ შვილებს გვეძახით?! რამდენი საუკუნე გვეძახეთ ეგრე, მაგრამ მამინაცვლობაც ვერ გაგვიწიეთ; თქვენი თავიც დაჰღუპეთ და ჩვენიცა! ბატონებად თქვენა სცხოვრობთ და შვილებს ჩვენ გვეძახით?! ვეღარ მოგვატყუებთ, ეეჰ!—ხელი ჩაიქნია სოლომ და გაბრუნდა.

მშვიდობიანობის მოსარჩლე ბერტა ფონ-ზუტნერი (გარდაცვალების გამო).

დიმიტრი გაშტერებული დარჩა: თითქოს მართალიც გამოჰსჭვივოდა სოლოს სიტყვებში, მაგრამ როგორღაც სულელურად გამოჰსჭვივოდა. დიმიტრი თავის თავს ჭლანძღავდა, ლაპარაკი რად დავუწყეო! სიბრაზე ახრჩობდა. იდგა და ჰფიქრობდა, რომ დიდი ხანია ბატონობა დაჰკარგა. მას შემდეგ რაც ბანკის ჩაქუჩს ოთხასი დღიური სახნავ-სათესი და სადაო ტყე გადურჩა, რაღა ებატონებოდა? დიდი ხანია აბრეშუმის ახალუხი აღარა ჰსცმია, ეხლა ჩითისას ჰხმარობს და ჩოხაც ხამისა აცვია. „თქვენი თავიც დაღუპეთ და ჩვენიცაო, რადა სთქვა?—გაიფიქრა დიმიტრიმ.—„აქ მგონი სადღაც სიმართლეა-!—მაგრამ როგორი უნდა ყოფილიყო ეს სიმართლე დიმიტრიმ არ იცოდა. ხოლო ის კი იცოდა, რომ რაკი თავისი შიში ისე უნებლიედ გაამხილა, „ისინი“ ეხლა უფრო თავს წავიდოდნენ. ამ ფიქრში დაალამა სრული დღე და სრული კვირის მოუსვენრობა უფრო გაუარჯლდა. ეხლა თავი ნამდვილი დამარცხებული ეგონა. მხოლოდ ეხლა იგრძნო თავ-მოყვარეობის შელახვა და სიბრაზე გლეხებისადმი.

— ყაზახები უნდა დავიბარო, ყაზახები! ჰფიქრობდა დიმიტრი.—შეუძლებელია ასე ღვთის ანაბარად ყოფნა, გამხეცებულ ტეტიათა პირის-პირის უპატრონოდ, მარტო დგომა.—მაგრამ დიდი ფიქრის შემდეგ ყაზახების დაბარებაზე ხელი აიღო: ხალხს ეს უფრო გააბრაზებსო,—იფიქრა თავადმა. მაგრამ უფრო გახელდა, რადგან ეს გადაწყვეტილება შიშისა იყო, დათმობისა, დამარცხებისა:

და ასე, თვინიერ ყოველსავე გარდაწყვეტილებისა, დიმიტრი დერეფანში იდგა და მიდამოს გაჰსცქეროდა. ბუნება ისევ მშვიდი იყო, თუმცა უმთავრო; ცა ჩაშავებული და ჰაერი შედედებული. ამიტომ შორეული სილუეტები მკაფიოდ არა ჰსჩანდა. გაერთიანებული, უძრავი იყო ბაღ-ვენახები, ღობეები, შორეული მთები, ალვის ხეები. ეს ძილი იყო ბუნებისა, ძილი ფხიზელი, ოთახში მწოლარეთა ძილისავით ფხიზელი, მათი გულებივით შემკრთალი და დიმიტრის ბოლმასავით მძიმე. დიმიტრის გონება ჰმუშაობდა, მაგრამ ერთ გაბმულ ხაზს ვერ დაჰსდგომოდა და ირეოდა. დიმიტრისათვის კიდევ ერთი რამ იყო გაუგებარი: თუ ერთობა იყო, რატომ ის კი არ მიიწვიეს ამ ერთობის წევრად? განა ცუდი მებრძოლი ან ამხანაგი იქნებოდა!? რას ითხოვდა ეს ერთობა? ესეც ძნელი გასაგები იყო.

*) იხ.) სურათებიანი დამატება № 3.

ტფილისის „შევარდენთა“ საზოგადოება.

ბევრს რასმეს ამბობდნენ ამ ერთობისას, მაგრამ დიმიტრი ერთს განმარტებულ ხელმოსაჭიდს ვერას ჰხედავდა.

სადღაც შორს, ვენახებს იქით თოფი გავარდა. მისმა ხმამ შორი-შორა მთებს გაჰსძახა, გაგორდა, ჰაერი ააკანკალა და ჩაფიქრებული დიმიტრი შეაკრთო. მან მსწრაფლ მიიხედა იქით, საიდანაც თოფის ხმა მოესმა. გული აუკანკალდა. რაღაცა ავის მომასწავებელი, შავ-ბნელი იყო ეს ხმა. დიმიტრიმ მსწრაფლ ფანჯრებს შეჰხედა სახლში ხომ არ გაიღვიძესო, მაგრამ იქიდან მფრთხალი, ნერვიანი სუნთქვა ისმოდა. დიმიტრიმ კარგად იცოდა, რომ თოფის და ხმა უბრალო არ იყო, რომ მას სხვა რაღაც უნდა მოჰყოლოდა. ამიტომ ვენახების ბოლოს ჩააცქერდა, ჩააცქერდა იმ ადგილს, საიდანაც თოფის ხმა მოისმა. დიმიტრის გული მოეკუმშა, დიდი, წარმოსადგენი თავადი მოიკუნტა, დაპატარავდა. იგი თვალს არ აშორებდა ცის კიდურს და ისე ეგონა თითქოს ეს თოფის ხმა, შედეგია იმ მარცხისა, რომელიც დილას შემემთხვაო, როდესაც სოლოს უნებურად გული გავუხსენო.

ვენახებს იქით, ცის ჩაშავებული კიდური ვარდის ფრად განათდა, აციმციმდა, აკანკალდა და ბოლოს ცეცხლის წითელი მთრთოლვარე ალიონი გამოჩნდა.

— აჰუ!—დაიძახა დიმიტრის გულმა, თითქოს შვება მიეცა რომ, რასაც უცდიდა ასრულდა.—აჰუ! დასწვეს, დასწვეს მხეცებმა!—სიბრაზით ჯანი ეტკინა, თვალები დაუდიდდა, დაეწვა.

— რა იყო ადამიანო, რა დასწვეს,—გამოსძახეს სახლიდან, სადაც ჩუმი ჩოჩქოლი შეიქნა.

— დასწვეს, წისქვილი დასწვეს!—

— წისქვილი!?—შესძახა კნეინამ. ხმაზე ეტყობოდა, რომ ერთბაშად აღელვებული, შეშინებული ერთბაშადვე დამშვიდდა. დამშვიდდი იმიტომ, რომ ცეცხლი შორს იყო, მათ სიცოცხლეს ხიფათიარ ედგა, თუმცა მათი სიმდიდრე იწოდა.

ოჯახი გარედ გამოვიდა და შეშინებული ალიონს გასცქეროდა. ხმას არავინ იღებდა. ანო დედას მიჰკროდა, ჰკანკალებდა და რაღაცას ჰბუტბუტებდა. ტუჩის ფერი დაჰკარგოდა. როცა დიმიტრიმ შეჰხედა, შვილის თვალებში სისველე და ალიონი დაინახა. და ეს ალიონი, ქალის თვალებში გასახული უფრო საზარელი იყო, ვიდრე ნამდვილი, იქ, ცის კიდურზე რომ ბობოქრობდა. დიმიტრიმ სხვებსაც შეჰხედა და სხვების თვალებში იგივე ალიონი დაინახა. კნეინას ცხვირი გასთეთრებოდა, დაჰგრძელებოდა და ყურები კი დასწითლებოდა.

— დედა, დედა! ჰბუტბუტებდა პატარა თამრო.

— დაჰსწვეს! დაჰსწვეს!.. წამოიძახა დიმიტრიმ. მკერდი უკანკალებდა, ფეხებისა და მკლავების კუნთები უთრთოდა, თითქოს ჰსცივაო. თავში აზრები აღარ ჰქონდა, დაცარიელდა თავი და ტკივილი დაიწყო.

— ვგიჟდები... გავგიჟდები!—ერთბაშად გაიფიქრა დიმიტრიმ, ალიონს ერთიც გაჰხედა და შინ შევიდა იქ ჩოხა ჩაიცვა, თოფს ხელი წამოავლო და ისევ გარედ გავიდა.

— მიდიხარ? ნუ წახვალ!—შეშინებით შესძახეს მას ცოლმა და დედამ. მათს ხმაში აუცილებელ დაბეჯითების კილო არ ისმოდა. დიმიტრი არსად მიდიოდა. ჩოხა იმიტომ ჩაიცვა, რომ კანკალი შეეყენებინა, მაგრამ რისთვის წამოავლო თოფს ხელი ეს კი აღარ იცოდა. დედამ თოფი გამოართვა და ოთახში შეიტანა. ეს ისე მოჰხდა, რომ დიმიტრის არა უგრძვნია რა.

— შინ შეიყვანეთ ე გოგო!—დაიყვირა დიმიტრიმ, როდესაც ანოს ერთი კიდე შეჰხედა.

ალიონი კი მოძრაობდა. ცეცხლი ხელებს იქნევდა, ნაპერწკლებს ისროდა. აქამდის ჩაბნელებულ ხეების წვეროებს ეხლა ყვითელი ზოლი გაჰყვა და ტოტები სათითაოდ განათდა, და შეშინებულ, ნერვებ აშლილ ცხოვრების გამოძახილი ეს ცეცხლი, ქვეყანას ათრთოლებდა. და თუმცა არე-მარე ძრწოლვით იყო სავსე, სოფელში მაინც სიჩუმე ჰსუფევდა, ხმას არავინ იღებდა, ძაღლებიც კი არ იყეფებოდნენ.

ცეცხლი ჩანელდა. შეშინებული, მოკანკალე ოჯახი დიმიტრიმ შინ შეიყვანა და ისევ დააძინა. ანო დიდ-ხანს ჰშფოთავდა, ოხრავდა, მაგრამ მერე ერთბაშად და მაგრა დაეძინა. სხვას არავის ეძინა, პატარა თამარის გარდა. დიმიტრი მთელ ღამეს ტანთ გაუხდელი იყო.

მეორე დღეს დიმიტრი წისქვილზე არ წავიდა, საშიში იყო იქ წასვლა: ეჰ, რაც იყო დაიწვა, რალას წავიდეო!—გაიფიქრა მან.

დილით, მზის სხივებზე ყველა დამშვიდებული ადგა, როდესაც შეატყობინეს, წუხელის თქვენი იმერელი მეწისქვილე მოჰკლესო. მისი გვამი დიმიტრის კარ-წინ გაატარეს და საყდარში მიასვენეს. მეწისქვილეს თვალები ღია ჰქონდა და ნესტოებში სისხლი გაჰხმობოდა.

— ღმერთო დაგვიფარე!—პირჯვარი გადიწერა კნეინამ, რომელსაც მოკანკალე ანო ეკროდა. ღამე კი, ანომ წივილით გაიღვიძა, ლოგინზე დაიჩოქა და წიოდა. დიმიტრიმ შვილს თვალებში შეჰხედა და იქ წუხანდელი ალიონი დაინახა. ქალის თვალებს წყალი მოჰსდგომოდა.

ოჯახში ყველა ჰკანკალებდა და მზად იყო ანოსავით წივილი დაეწყო.

III

გათენდა დილა და ყველაფერი წინანდებურად მოეწყო. ასტყდა ისევ ისეთი არ საჭირო, გადაჭარბებული მოძრაობა, მხოლოდ უფრო დუნე იყო და აღარც სიცილს იწვევდა. დიმიტრი, იმ ამბის შემდეგ, რაც ანოს წუხელის დაემართა დამძიმებული იყო, წელში მოხრილი, დაღვრემილი. ბოსელში იდგა და კარის ვენახში გათიბულ ბალახს საქონელს უყრიდა. დიმიტრის საქონელზე გული აღარა ჰქონდა, რადგანაც თავისად აღარ მიაჩნდა: დღეს თუ ხვალ მოვლენ და გაჰრეკავენო. ამ დროს ტირილის ხმა შემოესმა. შეშინებულ დიმიტრის თავში გაუელვა—თოფი სადა მაქვსო! და გარედ გამოვარდა. პატარა თამრო ლიტრით ხელში წყაროზე მიდენილიყო, მაგრამ წაქცეულიყო და, სტკენოდა რამე თუ არა, მაინც სტიროდა. სასმელ წყლისათვის წყაროზე სიარული თამარის საქმედ იქცა. უფროსები ვერა ჰბედავდნენ წყაროზე სიარულს, რამე არ გვაწყეინონო, პატარას კი არაფერს გაუბედავდნენ.

მტირალა თამარს დედა მიჰშველებოდა და ამშვიდებდა.

ტფილისის „შევარდენთა“ საზოგადოების ვარჯიშობა.

ᲐᲠᲘᲡᲢᲝᲢᲔᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

— ამოუწყდეთ რანიცა ჰყვანან იმათ, ვინც ეს დღე დაგვაყენა.— იწყევლებოდა კნეინა. წყევლით შეშინებულმა დიმიტრიმ მიიხედ-მოიხედა, ხომ არავინ გაიგოვო და ცოლს შეუტია.

— კარგი, გაჩუმდი.—კნეინა ერთბაშად ჩაჩუმდა; მას ცრემლები მოჰსდგომოდა. დიმიტრის გული აემღვრა.

— წადი, შვილო შინა, წადი! მე წავალ წყალზე—უთხრა მან შეილს და ლიტრას ხელი წამოავლო.

— არა! მოიტა აქა!—უთხრა ცოლმა და ლიტრა ხელიდან წაართვა.—შენ შინ იჯექ, მე წავალ! იქ არა დაგარტყან რა!

დიმიტრის რიღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ ვეღარ მოასწრო: კნეინა უკვე დაღმართზე დაეშვა და წყაროსაკენ გაჰსწია.

თავადმა შვილი ხელში აიყვანა, დაჰკოცნა და შინ წაიყვანა, და მხოლოდ ეხლა, ამ კოცნის დროს იგრძნო ღრმა და ძლიერი მამობრივი სიყვარული. ასე ღრმად, სრულის თავის არსებით, მხოლოდ ეხლა იგრძნო, რომ შვილი მისი სისხლი და ხორცია, წინანდელი სიყვარული შვილებისადმი ასეთი ძლიერი არ იყო, როგორც ეხლა. აქამდის შვილებს თითქოს ყურადღებას არ აქცევდა, მათთვის რიგიანად აროდეს უზრუნვია და მათი ბედის ამბავი უფრო დედას ეწვა კისერზე თითონ კი მუდამ ცდილობდა შვილების თავიდან მოშორებას: ვაჟი კადეტთა კორპუსში ჰყავდა მიბარებული სახელმწიფო ხარჯზე, ანოც ასევე ინსტიტუტში ჰსწავლობდა და ორივენი ისე დაიზარდნენ, რომ ოჯახის მზრუნველობა რიგიანად არ განუცდიათ, ცხოვრება არ უნახავთ. იგრძნო თავადმა ეს შეცდომა, მაგრამ მისი გასწორება აღარ შეიძლებოდა. და ეხლა თითქოს თავისი ცოდვათა შესანანებლად თავის ნაბოლარა შვილს გულიანად დაუწყო კოცნა. ერთს წუთში გადასწყვიტა, თუ ღმერთმა ამ უბედურებას მშვიდობით გადამარჩინა, თამროს სულ სხვანაირად ავღზრდიო.

კნეინა კი ამ დროს ხელში სავსე ლიტრით აღმართზე ნელა მოდიოდა. გათქერილი ბალახი სიპი იყო და კნეინას სიარული უჭირდებოდა. ის გარემოება კი, რომ იგი წყალზე იყო რაღაც დიდ უბედურებად მიაჩნდა.

— ნეტა რა იქნება ჩვენი ბოლო, რითი გათავდება! ბარემ დაგვხოცონ თუ გვხოცავენ, რაღას გვაწვალებენ—ჰფიქრობდა გზად კნეინა და ფიქრში წარსულს, ბალახზე ფეხი აუსხლტა და უცბად ჩაიკეცა. კნეინა შეკრთა. შერცხვენილი, საბოდიშო ღიმილი სახეზე გამოეხატა. ამ დროს გლეხის ბიჭს ცარიელი ურემი მოჰქონდა. ბიჭმა კნეინას გადაჰხედა, გაიღიმა და შეჰსძახა:

— უწინდელი თავადები
უქშუტუნებდნენ ქორებსა
ეხლანდელი თავადები
უღრუტუნებენ ღორებსა... ჰაა-მოჰ!—

შეუტია ხარებს ბიჭმა და შოლტი გაუტყლაშუნა. ხარები გაიქცნენ და დაღმართზე ისედაც გაქანებული ურემი უფრო გაქანდა. ამიტომ მთელი ეს სურათი წუთიერი იყო, ერთბაშად ჩაურბინა მან კნეინას გვერდით და გაჰქრა. კნეინა კი შეჰკრთა, აინთო და თვალებზე ხელები მიიფარა. შოლტის ტყლაშუნი სილასავით მოჰხვდა სახეზე კი არა, სულში, ღრმად, ძლიერად, შეურაცმყოფელად; რომ შეჰსძლებოდა, იმ წუთს ქვეყანას დაანარცხებდა და დაანაჭუჭებდა. თვალები ცრემლებით აევსო, გული აუჩუყდა, მაგრამ თავი შეიმაგრა, ლიტრა აიღო და ისევ გზას გაუდგა. ეს სურათი დიმიტრიმაც დაინახა, იმასაც გული აემღვრა, მაგრამ გული გავუკეთოვო ცოლს, ღიმილით შეეგება.

— რას ილრიჭები მიზეზის ხატივითა!—შეუტია ცოლმა.—გაიცინე, შენმა მზემ, გასახარელი დიდი გაქვს.—უთხრა ცოლმა და ერთბაშად მოუნდა ქმრის წყენინება, რითიმე მოეკლა მისი გული, დაგუბებული ვარამი ამოენთხია.

— მთელი სიცოცხლე სიღარიბეში გამატარებინე, ერთი დღე არ მაჩვენე რიგიანი, გამტანჯე, ჩემი ორასი თუმანი მზითევი შესჭამე და ეხლა იცინი!? რად ეკიდებოდი ცოლ-შვილს, თუ კი თავი არა გქონდა!? ჩემისთანა თავადიშვილის ქალი ჩაიგდე ხელში და ეხლა იცინი?

დიმიტრის გულში მოჰხვდა ეს სიტყვები, გაბრაზდა. ბევრი რამ უნდოდა ეთქვა, რომ მათს სიღარიბეში კნეინასაც წილი უდევს, რომ თითო მისი კაბა ათი თუმანი ჯდებოდა, ქალაქში თითო წასვლა თითო მამულის შემოსავალს უდრიდა, მაგრამ თავი შეიკავა და არაფერი უთხრა. იცოდა, რომ ცოლიც მის დღეში იყო, შეწუხებული, შეშინებული, ნერვებ აშლილი და თუ მეტი სიტყვა დაჰხარჯა, მხოლოდ ქალურ სისუსტით; ამას გარდა წელანდელი თავისი ნაფიქრი ოჯახზე უზრუნველობაში თავის თავს რომ ამტყუნებდა, ისევ გონებაში ედგა. ცოლის სიტყვებმა ამ ნაფიქრს თითქოს კვერი დაუკრეს და მრავალ-წელთა შეცდომების პირველად გასწორებისათვის, ცოლს გაუჩუმდა, საყვედურზე არაფერი უთხრა და კვლავ გაუღიმა.

— კიდევ! ნუ ილრიჯები მეთქი. რა გაქვს სასაცინო! ცოლ-შვილ ამ დღეში ჩაჰყარე და იცინი?!

— ბიჭოს!—გაკვირვებითა და სიმწარის ღიმილით უთხრა დიმიტრიმ:—ახლა ბუნტის თავობასაც მე დამაბრალებ!

კნეინამ ერთი შეჰხედა, მიჰხვდა, რომ ქმარს ტყუილა უბრალოდ აწყენინა, შეეცოდა ქმარი, ტუჩზე კბილი დაიდგა და ქვითინი დაიწყო.

დიმიტრი ერთ ადგილს გაშტერებული იდგა და ვერა გაეგო რა.

ქარიშხალი ბობოქრობდა.

ი. ტატიშვილი.



№—Ი.

ოჰ, რა დილაა... მზემ თვის სხივები
შეუთამაშა არე-მარესა,
წითლად შეღება მთისა წვერები,
მიუალერსა მძინარ მხარესა.

ანკარა რუსთან ამ ცრიაკ დილას
შენ დაგინახე თმა დალალ-ყრილი...
ჩამოდიოდი ნაზად და ფრთხილად,—
შუბლს გიკოცნიდა ნიავი გრილი.

ოქროს კულულებს სხივი ჰკოცნიდა...
ნაზი სოსანი სალამს გიძღვნიდა...
რუ ლიკლიკებდა,—კი არ ჰკვნესოდა,
და თვის მადლობას ეთერს გითვლიდა.

დავ-ჩაქინდრული, ცრემლ-მოდენილი,
დაღონებული გჭვრეტდი მშვენებას...
გულში ვფიქრობდი: „ობლად შთენილი
ვერ ვეღირსები იმ ნეტარებას,

„რომ წამით მაინც შენს ახლო ვიყო,
გადაგიშალო სულის ვარამი,
ქარ-ნიავს მივცე შავი ფიქრები...
გულს არ წამლავდეს გესლი და შხამი!“...

შენ შემომხედე, თითქო მიმიხვდი,
რა მიტოკებდა გულს დაოსებულს:
ღიმილით შეჰკრთი, წამსვე მოფრინდი,
მომეალერსე მე, დაობლებულს.

გული გაიხსნა და ცას ვეწიე,
კრული ქვეყანა ვარდად მეჩვენა...
ვსთქვი: „ამდენი ხანს რაიც ვეძიე,
უკვე ვიპოვე“!.. თვალწინ მეყენა!..

ალერსით გჭვრეტდი უცხოთ მოვლენილს...
მაგრამ... ვაი თავს!“... იყო სიზმარი.
და ამ ოცნებას, ძილში მოფრენილს,
სინამდვილესთან ჰქონოდა ზღვარი.

პლებეი.

ტფილისი, მუხრანის ქუჩა, სტამბა „შრომა“. რედაქტორ-გამომცემელი **დ. ჯორჯაძე.**